



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 117
 12/02/2018

117-01-4-201802121412



საქართველოს სამხედრო ძალებში 2018 წელს მოქალაქეთა
საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე 20-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის N36 დადგენილების შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2018 წლის 26 იანვრიდან 2018 წლის 30 ივნისამდე.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულნი იქნენ 18-27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ სამხედრო ძალებში გაწვევისაგან განთავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან და პერსონალურ უწყებებში აღნიშნულ ვადაში ვალდებულნი არიან გამოცხადნენ გასაწვევ უბნებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. მერის წარმომადგენლებმა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაატარონ ქმედითი ღონისძიებები გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა (გ. ჯინჭარაძე) გაწვევის ორგანიზებულად წარმართვისათვის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის განაცხადის მიხედვით მოახდინოს თანხების დროულად გამოყოფა.

7. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა (გ. ვერულიძე) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება.

8. ეთხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონული სამმართველოს უფროსს (ვახტანგ ტერაშვილი) ოპერატიულად მიიღოს ზომები და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გაატაროს იმ წვევამდელთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

9. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელმა (გ.კირჩხელი) გაწვევის მიმდინარეობის შესახებ სისტემატიურად წარუდგინოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიას.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში. (მისამართი: ქ ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30)

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა